ცვლილება ფიზიკური პირების საბანკო მომსახურების გენერალურ ხელშეკრულებაში

ბანკის ვებ-გვერდზე www.pashabank.ge განთავსებულ ფიზიკური პირების საბანკო მომსახურების გენერალურ ხელშეკრულებაში (შემდგომში "ხელშეკრულება") შედის შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. შეიცვალოს და შემდეგი რედაქციით ჩამოყალიბდეს ხელშეკრულების 1.1.1., 12.2.5. და 15.4.6. პუნქტები:

„**1.1.1. ბანკი** -სს „პაშა ბანკი საქართველო" ს/კ 404433671, სათავო ოფისის მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ილია ჭავჭავაძის გამზირი, N37მ, ელექტრონული ფოსტის მისამართი - info@pashabank.ge ვებ-გვერდის მისამართი www.pashabank.ge, ლიცენზიის # - ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის 2013 წლის 17 იანვრის განკარგულება # 27;"

"12.2.5. ნებისმიერ დროს, შესაბამისი განაცხადით მოსთხოვოს ბანკს ცალკეული საბანკო პროდუქტის/მომსახურების შეწყვეტა, მათ შორის, ანგარიშის დახურვა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კლიენტს კონკრეტული საბანკო პროდუქტიდან/მომსახურებიდან გამომდინარე არ გააჩნია რაიმე სახის შეუსრულებელი ვალდებულება (ფინანსური თუ ნებისმიერი სხვა სახის) ბანკის წინაშე. ამასთან, ბანკი უფლებამოსილია, კლიენტის მიერ საბარათე ანგარიშ(ებ)ის დახურვის მოთხოვნის შემთხვევაში, არ დახუროს აღნიშნული ანგარიშ(ებ)ი 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში. კლიენტის განაცხადის მიღების მომენტიდან დასახურ ანგარიშ(ებ)თან მიმართებით წყდება ყველა ტიპის საკომისიოს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დარიცხვა."

„15.4.6. დისტანციური საბანკო მომსახურების არხების საშუალებ(ებ)ით (ბანკომატი, სწრაფი გადახდის ტერმინალი და სხვ.) კლიენტისათვის მომსახურების გაწევისთვის ან/და კლიენტის იდენტიფიკაციის მიზნით/შესახებ (მათ შორის, სხვადასხვა საბანკო/საკრედიტო პროდუქტ(ებ)ის შეთავაზებისათვის) აუცილებელი ინფორმაცია (მათ შორის, კლიენტის პერსონალური მონაცემები), მიაწოდოს სს „პაშა ბანკი საქართველოსთან" სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფ საგადახდო მომსახურების პროვაიდერ(ებ)ს, რომლებიც თავის მხრივ, კისრულობენ ვალდებულებას, დაიცვან ბანკის მიერ მიწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალობა;"

2. ხელშეკრულებას დაემატოს შემდეგი შინაარსის 4.1.5, 15.4.10. და 15.4.11 პუნქტები:

„4.1.5. ბანკი უფლებამოსილია, ბანკში გახსნილ კლიენტის მიმდინარე ანგარიშ(ებ)ზე განთავსებულ თანხებს დაარიცხოს საპროცენტო სარგებელი, იმ მომენტში ბანკის მიერ განსაზღვრული ოდენობით. საპროცენტო სარგებელი დაანგარიშდება ყოველი დღის ბოლოს, ანგარიშზე არსებული ნაშთის მიხედვით და დარიცხული პროცენტის რეალიზაცია მოხდება ყოველთვიურად, ყოველი თვის ბოლოს. ამასთან, ბანკი უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს, თავისი შეხედულებისამებრ შეცვალოს (გაზარდოს/შეამციროს) ან გააუქმოს საპროცენტო სარგებლის ოდენობა, რის შესახებაც კლიენტს დამატებით ეცნობება ინტერნეტბანკის ან/და ელ.ფოსტის მეშვეობით."

„15.4.10. კლიენტის მიერ სსიპ „შემოსავლების სამსახურში" მოთხოვნის („გადასახადის გადამხდელის მოთხოვნის") წარდგენის შემთხვევაში, „შემოსავლების სამსახურის" მოთხოვნის საფუძველზე, „შემოსავლების სამსახურს" მიაწოდოს ინფორმაცია ბანკში არსებული კლიენტის აქტიური საბანკო ანგარიშის რეკვიზიტების შესახებ;

15.4.11. საკრედიტო პროდუქტ(ებ)ის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების ან/და კლიენტის მიერ ბანკისათვის მიწოდებული ინფორმაციის გადამოწმების მიზნით, კლიენტის შესახებ არსებული ნებისმიერი ინფორმაცია (მათ შორის, პერსონალური მონაცემები) გადასცეს ნებისმიერ მესამე პირს.“

წინამდებარე ცვლილებები ძალაში შედის 28.02.2020-დან.